გენდერი, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერა განმარტავს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში გენდერული პერსპექტივის ინტეგრაციის მნიშვნელობას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორს.

სამხედრო, პოლიციის, სასამართლო, პენიტენციური და უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის სხვა დაწესებულებებს გააჩნიათ სამართლებრივი ვალდებულება დაიცვან და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებს, მათ შორის გენდერულ თანასწორობას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეს ვალდებულება ასევე ეხება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და მის პრევენციას. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ორგანოებს აქვთ მითითება ყურადღება გაამახვილონ გენდერულ როლებზე და გენდერულ თანასწორობაზე. ძალადობრივი ექსტრემისტული აქტების ჩადენის მამოძრავებელი ფაქტორები (ტერორისტული ჯგუფების შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ), ტერორისტული ჯგუფების როლები, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შედეგები და მათზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება ცვალებადია იდეოლოგიის, რეგიონის, დროის, ასევე, კაცებიდან, ქალებიდან, ბიჭებიდან და გოგოებიდან გამომდინარე. შესაბამისად, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის (PVE) და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის (CVE), ასევე ტერორიზმთან ბრძოლის (CT) წინაპირობას, რომელიც არ არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. უფრო მეტიც, კონფლიქტების უფრო ეფექტური პრევენციის მიზნით, ეს ძალისხმევა შეიძლება შემუშავდეს და განხორციელდეს დღის წესრიგის "ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება" (WPS) გასაძლიერებლად: ქალთა ჩართულობის, მონაწილეობის, ლიდერობისა და ასევე მათი დაცვის გაძლიერების კუთხით.

წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერა:

- განმარტავს, თუ როგორ აუმჯობესებს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გაგებას;
- განსაზღვრავს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი და რა ეფექტი აქვს სახელმწიფოების მხრიდან გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასთან და ტერორიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებით - არ ირღვევა ადამიანის უფლებები და არ დგება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგები;
- აღწერს მთელ რიგ სტრატეგიებს, რომელიც ეხება გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და ტერორიზმთან ბრძოლის მიდგომებში, სადაც ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორზე.

DCAF Geneva Centre for Security Sector Governance
OSCE ODIHR Office for Democratic Institutions and Human Rights
UN WOMEN

პოლიტიკის მოკლე აღწერა არ წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის, ტერორიზმისა და გენდერის კვლევისა და პოლიტიკის დისკურსის ყოვლისმომცველს ანალიზს; ეს გახლავთ ხელმისაწვდომი მიმოხილვა, რომელიც განკუთვნილია აუდიტორიისთვის, რომელიც განსაკუთრებით არის დაინტერესებული უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის საპასუხო ქმედებებით.

ჩანართი 1 განმარტავს, წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერაში გამოყენებული ძირითადი ტერმინების მნიშვნელობას. პოლიტიკის მოკლე აღწერა ზოგადად ეხება ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და არა ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რათა ხაზი გაესვას გლობალურ და საზოგადოებაზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელობას, რომელიც ორიენტირებულია ძირეულ მიზეზებზე და არა მხოლოდ საპასუხო ქმედებებზე.*

ჩანართი 1: ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია, ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა (CVE) და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია (PVE) წარმოადგენს სადავო კონცეფციას, და არ გააჩნია საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული განმარტებები.

ზოგადად რომ ვთქვათ, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია მოიცავს პრევენციულ ზომებს, რომელიც ეფუძნება ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორების გაგებას და სტიმულს აძლევს ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართულობას. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია ავსებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის (CT) ზომებს, რომელსაც ძირითადად ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები, სადაზვერვო სამსახურები და ზოგჯერ სამხედრო ნაწილები.

ამის საპირისპიროდ, ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მსგავსად, წარმოადგენს ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ან არ გამოიწვიოს ტერორისტული აქტები.

ძალადობის მიმართულებით რადიკალიზაცია არის პროცესი, სადაც ინდივიდს უყალიბდება ძალადობრივი ექსტრემისტული რწმენა და მისწრაფებები. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია ხელს უწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმისა და მისი მოქმედების ტაქტიკის მიმართ ინდივიდისა და საზოგადოების მედეგობის ამაღლებას.

* პოლიტიკის მოკლე აღწერაში გამოყენებული განმარტებები აღებულია UNDP-დან (2018) *ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის პროგრამის ეფექტურობის გაუმჯობესება: მითითება დიზაინის, მონიტორინგისა და შეფასების შესახებ, გვ.*16; შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი (2016) " ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის შვეიცარიის საგარეო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა", გვ. 6.

ეუთო (OSCE) იყენებს აკრონიმს „VERLT" ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაცის აღსანიშნად. იხ. OSCE (2018) სამოქალაქო საზოგადოების როლი ძალადობრივი ტერორიზმის გამომწვევი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გზამკვლევი; OSCE (2019) გენდერის როლის გაგება ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბროლაში: სამართალდაცვის თანამედროვე პრაქტიკა; და OSCE (2019) მიმართვის მექანიზმების გაგება ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გზამკვლევი.

როგორ აუმჯობესებს გენდერული პერსპექტივა ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გაგებას?

ძალადობრივი ექსტრემიზმის მრავალი და ხშირად ურთიერთდაკავშირებული მამოძრავებელი ძალები შეიძლება ფართო გაგებით კლასიფიცირდეს „იძულებისა“ და „მიზიდულობის“ ფაქტორებად. „იძულების“ სტრუქტურული ფაქტორები მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მარგინალიზაციას, დისკრიმინაციასა და იზოლაციას; ხანგრძლივ მოუგვარებელ კონფლიქტებს; ცუდ მმართველობას; და უფლებებისა და კანონის უზენაესობის დარღვევას. „მიზიდულობის” ინდივიდუალური ფაქტორები, რომლებიც ხშირად გამოიყენება მოქმედების ტაქტიკაში, მოიცავს სტაბილური დასაქმების ახლო და სამომავლო პერსპექტივებს; სოციალურ, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მიმზიდველობას; და სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს.[1]

„გენდერი“ გულისხმობს სოციალურად კონსტრუირებულ და განპირობებულ როლებს, შესაძლებლობებსა და ნორმებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება მოცემულ დროსა და სივრცეში თვლის შესაფერისად ბიოლოგიური სქესიდან გამომდინარე. გენდერი გავლენას ახდენს ადამიანებს შორის ურთიერთობებსა და ძალაუფლების დინამიკაზე, რაც გამოიხატება რესურსებზე წვდომით და მათზე კონტროლით, ასევე, დაკისრებულ პასუხისმგებლობებზე და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებზე. გენდერი ეხება არა მხოლოდ ქალებს და სტრუქტურულ გენდერულ უთანასწორობას, არამედ კაცებსა და მამაკაცურობის ცნებებს.* გენდერი ავლენს ძალადობრივი ექსტრემიზმის „იძულების“ და „მიზიდულობის“ ფაქტორებს და გავლენას ახდენს ექსტრემიზმისადმი მიდრეკილების მქონე ინდივიდების კონკრეტულ მახასიათებლებზე. მაგალითად, მოცემულ საზოგადოებაში გაუცხოებულ და მარგინალიზებულ ახალგაზრდა კაცებს გააჩნიათ სურვილი გაამართლონ მამაკაცურობის ტრადიციული მოლოდინი, იყვნენ ოჯახის მარჩენალები, მოიპოვონ სიმდიდრე და სტატუსი და ჰყავდეთ სასურველი სექსუალური პარტნიორები. კვლევების თანახმად, ამან შეიძლება უბიძგოს მათ გამოიყენონ ძალადობრივი გზები, რათა „დაამტკიცონ“ თავიანთი მამაკაცურობა.[2] სწორედ ამიტომ, ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებს, ჰიპერმასკულინური სტერეოტიპების გამო გააჩნიათ მაღალი მოთხოვნები და მუდამ უკმაყოფილოები არიან. მე-2-ე ჩანართში წარმოდგენილია, თუ როგორ გამოიყენა ისლამურმა სახელმწიფომ (ISIS) ამაო გენდერული მოლოდინები კაცებსა და ქალებში.

ექსტრემისტული ძალადობის აქტების უმეტესობა ხორციელდებოდა და კვლავ ხორციელდება კაცების მიერ. არსებობს მოსაზრება, რომ ქალები და გოგოები დიდი ალბათობით შეიძლება იყვნენ ექსტრემისტული ძალადობის როგორც ხელშემწყობნი ან მხარდამჭერნი, ასევე პირიქით, ამრიდებლები, გადამარწმუნებლები და/ან მსხვერპლი. თუმცა, ქალები და გოგოები სულ უფრო ხშირად ხდებიან ექსტრემისტული ძალადობის ჩამდენი.[3] მაგალითად, ჩადის ტბის რეგიონში, თვითმკვლელი ბავშვის სამი მეოთხედი არის გოგო. გენდერული ანალიზი ამას უკავშირებს ღრმად ფესვგადგმულ გენდერული უთანასწორობის ექსპლუატაციას, რომელიც გოგოებს ართმევს ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ნებისმიერ შანსს და განსაკუთრებით დაუცველს ხდის მათ ძალადობის მიმართ. გარდა ამისა, გენდერული პერსპექტივა მოიცავს სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და თვითგამოხატვის მქონე პირებს, მათ შორის ლგბტი ადამიანებს.** ლგბტი ადამიანები გახდნენ ექსტრემისტული ძალადობის სამიზნეები - ამის ბოლო მაგალითია ისლამური სახელმწიფოს (ISIS) მიერ ჰომოსექსუალურ ქმედებებში ეჭვმიტანილი კაცებისა და ქალების მკვლელობები.[4]

ჩანართი 2 ხაზგასმით აღნიშნავს როგორ გამოიყენა ისლამურმა სახელმწიფომ (ISIS) გენდერული მოლოდინები კაცებისა და ქალების გადაბირებისთვის.

---

* გენდერთან დაკავშირებული ტერმინოლოგია დეტალურად არის განხილული 1-ელ პრაქტიკული მითითებების კრებულში “უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი”.

** ლგბტი ნიშნავს: ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს ადამიანებს. ეს ტერმინოლოგია უფრო დეტალურად არის განხილული პრაქტიკული მითითებების კრებულში 1, “ უსაფრთხოების სექტორის მართვა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი”.

ჩანართი 2: როგორ გამოიყენა ისლამურმა სახელმწიფომ (ISIS) გენდერული როლები გადაბირების კამპანიის დროს?

უმუშევარი, განათლებული ახალგაზრდები, რომელთა სამომავლო მოლოდინები დაინგრა, წარმოადგენენ დემოგრაფიულ ჯგუფს, რომელიც ისტორიულად ყველაზე მგრძნობიარე იყო ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში გადაბირების მიმართ. თუმცა, ISIS-იმ (სხვადასხვაგვარად მოიხსენიება, როგორც ე.წ. "ისლამური სახელმწიფო", ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო ან დაიში) წარმატებით გადაიბირა ქალაქელი ახალგაზრდა კაცები, წარმოაჩინა რა ისინი თავის მებრძოლებად, როგორც საპატიო "ნამდვილ" კაცებად და საზოგადოების მფარველებად. ისინი ახალწვეულებს ჰპირდებოდნენ ყოველთვიურ შემოსავალს, ცოლს და სახლს, რაც წარმოადგენდა ზრდასრულ ასაკში გადასვლის ტრადიციულ ნიშნებს, რომლის მიღწევასაც ბევრი ახალგაზრდა ცდილობდა.

ახალწვეულ ქალებს იზიდავდა დასავლეთის ამორალური „სილამაზის სალონური კულტურისგან" მოჩვენებითი „გათავისუფლება" და დისკრიმინაციის გარეშე თავისი რელიგიური წესის აღსრულების თავისუფლება. ISIS ქალებს წარმოაჩენს, როგორც კაცების ურთიერთ შემავსებელს, მაგრამ არა მათთან თანასწორს და ასევე, მორალურად და სოციალურად აღმატებულს დასავლელ ქალებზე. ეს მიმზიდველი აღმოჩნდა იმ ქალებისთვის, რომლებიც იმედგაცრუებულნი იყვნენ იმ გენდერული მოლოდინებით, რომლებიც მათი აზრით, მათთვის შემოღებული იყო დასავლური საზოგადოების მიერ.

წყარო:: N. Chowdhury Fink and A. Davidian (2018) "Complementarity and convergence? Women, peace and security and counterterrorism", in F. Ní Aoláin, N. Cahn, D. Francesca Haynes and N. Valji (eds), The Oxford Handbook of Gender and Conflict, Oxford: Oxford University Press, pp. 158–159; E. Pearson (2018) "Wilayat Shahidat: Boko Haram, the Islamic State, and the question of the female suicide bomber", in J. Zenn (ed.), Boko Haram Beyond the Headlines: Analyses of Africa's Enduring Insurgency, New York: West Point Combating Terrorism Center, p. 47.

ძალადობრივი რადიკალიზაციისა და მსგავსი გავლენებისადმი მედეგი თემების ჩამოყალიბების გასანეიტრალებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია გვესმოდეს რატომ და როგორ მოქმედებს გენდერული ნორმები ადამიანის გადაწყვეტილებებსა და ქცევაზე.

რატომ უნდა მოახდინონ სახელმწიფოებმა გენდერული პერსპექტივის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ინტეგრირება

სახელმწიფო ვალდებულებების შესრულება ადამიანის უფლებებთან მიმართებით

სახელმწიფოები იურიდიულად ვალდებულნი არიან პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმზე რეაგირებისას, მაშინაც კი, როდესაც იყენებენ საგანგებო სიტუაციების შესახებ კანონმდებლობას ან დროებით კანონმდებლობას. თუ სახელმწიფოები არღვევენ და ზღუდავენ ფუნდამენტურ უფლებებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სახელით, მათ შეუძლიათ დაარღვიონ როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებები.[5] გარდა ამისა, ასეთმა ქმედებებმა შეიძლება გაზარდოს დისკრიმინაცია და ძალადობა, რომელიც ხორციელდება ისედაც უკვე მარგინალიზებული თემების მიმართ.

ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის კონტექსტში ფუნდამენტური უფლებების დეროგაციამ და შეზღუდვამ შეიძლება დაარღვიოს როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებები გენდერულ თანასწორობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, ასევე, „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების" (WPS) დღის წესრიგით გათვალისწინებული ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი მონაწილეობისა და შესაძლებლობების გაზრდის ვალდებულებები. (იხილეთ ჩანართი 3). მაგალითად, მალდივის რესპუბლიკაში,

„ისლამურ ექსტრემიზმთან ბრძოლის“ მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა ქალების თავიდან ფეხებამდე შემოსვის ვალდებულების კანონგარეშე გამოცხადებას, მნიშვნელოვნად დაარღვია ქალთა რელიგიური და კულტურული უფლებები; და კონსერვატიული ძალების თავიდან აცილების მიზნით, სომალის მთავრობამ გადაწყვიტა არ მიეღო ზომები ქალთა უფლებების უკეთ დასაცავად.* ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება უზრუნველყოფს დისკრიმინაციის გარეშე, ქალისა და კაცის თანასწორობის საფუძველზე, ადამიანის ყველა უფლების დაცვას.

ჩანართი 3: როგორ წყვეტს „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემებს

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325-ზე (მიღებული 2000 წლის ოქტომბერში) დაყრდნობით, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #2242 (მიღებული 2015 წლის ოქტომბერში) აღიარებს ქალებთან ურთიერთქმედების აუცილებლობას ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილების მიზნით. მოუწოდებს სახელმწიფოებს და გაერთიანებულ ერების ორგანიზაციას „უზრუნველყოს ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობა და ხელმძღვანელობა ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიების შემუშავებაში ... მათ შორის ტერორისტული აქტების წახალისების წინააღმდეგ ბრძოლის გზით, კონტრ-ნარატივების შექმნით და სხვა შესაბამისი ინტერვენციებით“ (პარ. 13.). რეზოლუცია ხაზს უსვამს ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას, იმ პირობების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ხელს უწყობს ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელებას. „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგი უფრო ფართოდ აწესებს პარამეტრებს კონფლიქტის პრევენციისა და კონფლიქტების მართვისთვის, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და ტერორიზმთან ბრძოლაში, ქალთა უფლებების ინსტრუმენტალიზაციის თავიდან აცილების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. დღის წესრიგის შემდგომი განხილვისთვის იხილეთ მითითება - პოლიტიკის მოკლე აღწერა „უსაფრთხოების სექტორის მმართველობის მიდგომა ქალები, მშვიდობა და უსაფრ-თხოების მიმართ“.

ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმში მონაწილე (პოტენციური) დამნაშავეების ზუსტად იდენტიფიცირება**

ტრადიციულად მიიჩნევა, რომ ტერორიზმის მთავარი დამნაშავეები არიან კაცები და ბიჭები, რომლებსაც თავს ესხმოდნენ, აკავებდნენ მტკიცებულებების გარეშე და, ზოგიერთ შემთხვევაში, აწამებდნენ და კლავდნენ ქვეყნების უსაფრთხოების ძალები. და პირიქით, ქალებს ხშირად ახასიათებენ, როგორც პასიურ მსხვერპლს, რომლებსაც არ გააჩნიათ თავისუფალი ნება, მაგრამ დამნაშავენი არიან კაცებთან ურთიერთობის გამო.[6] ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და ტერორიზმთან ბრძოლის მცდელობები, რომელიც ეფუძნება ასეთ ვარაუდებს, არ არის საკმარისი. ყველა შემთხვევაში, საჭიროა გენდერული სტერეოტიპების გამოკვლევა, რათა გავიგოთ, სინამდვილეში როგორ არიან ქალები, კაცები, გოგოები და ბიჭები ჩართულნი ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმში. უფრო მეტიც, ქალების პასიურობის შესახებ მოსაზრებებით სარგებლობდნენ ტერორისტული ჯგუფები. მაგალითად, ავღანეთში, კაცი თვითმკვლელი ტერორისტები აკრძალულ ტერიტო-რიებზე შედიოდნენ ქალის ტანსაცმელში გადაცმულები (ნაწილობრივ იმის გამო, რომ ავღანეთის უსაფრ-თხოების ძალებში არ ჰყავდათ საკმარისი ქალების შემმოწმებლები, რომლებიც მათ შეაჩერებდნენ).[7]

* იხილეთ გაეროს გენერალური ასამბლეა (2009) “ გენდერული პერსპექტივა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ”, სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, 3 აგვისტო, UN Doc. A/64/211, ნაწილი III.

** იხ. მე-14-ე პრაქტიკული მითითებების კრებული, ჩანართი 2, შემდგომი მაგალითებისთვის, თუ როგორ ეხმარება გენდერული ასპექტი ძალადობრივი ექსტრემიზმის გაგებაში.

დედებს და ცოლებს, როგორც წესი, ეკისრებათ პასუხიმგებლობა და ისჯებიან, თუ მათი ვაჟები ან ქმრები არიან ჩართულნი ქმედებებში, თუმცა არ განიხილებიან როგორც სუბიექტები, რომლებსაც აქვთ ძალადობრივი ექსტრემიზმის ჩადენის, მხარდაჭერის ან წინააღმდეგობის გაწევის უნარი პირადი რწმენიდან გამომდინარე. და მაინც, ქალები სულ უფრო და უფრო მეტად არიან ფრონტის ხაზის აქტივისტები, პროპაგანდისტები, რეკრუტერები და თანხების შემგროვებლები, მათ შორის, როდესაც ისინი უერთდებიან ძალადობრივ ექსტრემისტულ და ტერორისტულ ჯგუფებს, მაგალითად, როგორიცაა ეგრედ წოდებული „უცხოელი ტერორისტი მებრძოლები“.[8] ამავდროულად, ძალადობრივ ექსტრემიზმში ან ტერორისტულ დანაშაულში ბრალდებული ქალები, სავარაუდოდ, მიიღებენ უფრო მსუბუქ სასჯელს, რადგან მათი დანაშაულებრივი ჩანაფიქრი განიხილება, როგორც ემოციური, ფსიქოლოგიური არასტაბილურობის და/ან არასწორი რწმენის ფაქტორი.[9] პარადოქსულია, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ქალები ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ, ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ არ მიიღონ ადეკვატური მხარდაჭერა რეაბილიტაციაში და რეინტეგრაციაში: ეს კი, თავის მხრივ ზრდის მათ რეციდივიზმის რისკს.[10] საფრთხის არასათანადოდ შეფასების რისკი, რომელსაც შეიძლება წარმოადგენენ ქალები, ძალიან დიდია: მაგალითად, როდესაც კანადის ხელისუფლებამ 2016 წელს შეაჩერა ქალი, რომელსაც სურდა შეერთებოდა ისლამურ სახელმწიფოს (ISIS), მათ ვერ მოახერხეს ვერც გამოძიება და ვერც მისი რეაბილიტაცია. ერთი წლის შემდეგ კი ის ქალი დააკავეს ტერაქტის მცდელობისთვის.[11]

ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის (პოტენციურ) მსხვერპლთა ზუსტი იდენტიფიკაცია

ქალები და გოგოები შეიძლება იყვნენ მიზნობრივი ძალადობის მსხვერპლი და კაცებისა და ბიჭებისგან განსხვავებით, განიცდიდნენ სხვადასხვა სახის ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმს. მაგალითად, ალტერნატიული მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფებს, რომლებიც მკაცრად ასრულებენ „ტრადიციულ“ გენდერულ როლებს, შეუძლიათ სამიზნედ ამოირჩიონ არა შესაფერისი ქალები და გოგოები, ასევე მხარი დაუჭირონ და გამოიყენონ სექსუალური ძალადობა და გენდერული ნიშნით ძალადობა მათი ჩაგვრის და დასჯის მიზნით. მალიში, ანსარ დინის მიერ „ისლამური სასამართლოს“ და „ისლამური პოლიციის“ შექმნა ქალების დასჯის მიზნით, მისი იდეოლოგიური კოდექსის დარღვევისთვის, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორმა დაახასიათა, როგორც გენდერული ნიშნით დევნა.[12] მართლაც, ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეოლოგიები პირველ რიგში მიზნად ისახავს ქალების უფლებების დაცვასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობას.

სექსუალური ძალადობა და გენდერული ნიშნით ძალადობა ხშირად აერთიანებს ტერორისტული ჯგუფების სტრატეგიულ მიზნებს და იდეოლოგიის ნაწილს, მათ შორის, ძალადობას იყენებს როგორც იარაღს რეკრუ-ტირებისას, ფინანსების მოსაზიდად და თემების გასანადგურებლად. მაგალითად, ეზიდების წინააღმდეგ გენოციდური კამპანიის ფარგლებში, ისლამურმა სახელმწიფომ (ISIS) მოკლა 12 წელზე უფროსი ასაკის კაცები და ბიჭები, რომლებმაც უარი თქვეს ისლამის მიღებაზე (რადგან ეზიდურ კულტურაში რელიგია მემკვიდრეობით გადაეცემა კაცებიდან) და შექმნა მონების ბაზარი, სადაც ათასობით ქალი და გოგო იყიდეს და გაყიდეს სექსუალური მონობის მიზნით.[13]

კაცებს და ბიჭებს ასევე აიძულებენ გარკვეული გენდერული როლების შესრულებას ძალადობრივ ექსტრე-მისტულ და ტერორისტულ ორგანიზაციებში. ისინი, ვინც არ მიაჩნიათ „მამაკაცურად“ ან ძლიერად, შეიძლება განდევნონ, გამოიყენონ ცოცხალ ფარად ან გახდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. კაცებს სცემდნენ იმის გამო, რომ არ შეეძლოთ წვერის გაზრდა, ასევე, წვერის გაპარსვისთვის ან „ვიწრო“ ჯინსის შარვლის ტარებისთვის. ქმრები ისჯებოდნენ იმის გამო, რომ ვერ აიძულებდნენ ცოლებს სახლში ეტარებინათ ხიჯაბი, და, შესაბამისად, აღიქმებოდნენ კაცებად, რომლებიც ვერ ასრულებდნენ რელიგიურ წესებს.[14]

ძალადობრივ ექსტრემისტულ და ტერორისტულ ორგანიზაციებში იძულებით შერჩეულ მსხვერპლებს შორის არსებობს აშკარა გენდერული განსხვავებები. ეს უკავშირდება უფრო ფართო გენდერულ უთანასწორობას. მაგალითად, კამერუნის, კენიის, ნიგერიის, სომალისა და სუდანის მოძალადე ექსტრემისტული ჯგუფების

წევრების გამოკითხვამ აჩვენა ქალების იძულებით გაწევრიანების არაპროპორციულად მაღალი მაჩვენებელი.[15] ასეთი იძულება და ძალის გამოყენება უნდა იქნას აღიარებული, რათა ტერორისტული ორგანიზაციებიდან გათავისუფლებულ ქალ მსხვერპლებს არ მოეპყრან როგორც დამნაშავეებს, რომლებიც საჭიროებენ „დერადიკალიზაციის“ პროგრამებს.[16] გაეროს უშიშროების საბჭომ აღიარა ქალებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილების აუცილებლობა „სამართლებრივი დევნის, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ინდივიდუალური სტრატეგიების შემუშავებისას, და ... ქალებისა და ბავშვებისთვის დახმარების აღმოჩენის მნიშვნელობა, რომლებიც დაკავშირებულია უცხოელ ტერორისტებთან, რომლებიც შესაძლოა იყვნენ ტერორიზმის მსხვერპლნი, ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს გენდერისა და ასაკობრივი მგრძნობელობის გათვალისწინებით“.[17]

ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მტკიცებულებაზე დაფუძნებული და ეფექტური მიდგომების გამოყენება

მარგინალიზებული თემების როგორც რადიკალიზაციის მაღალი რისკის შემცვლელის განსაზღვრის მცდელობა ქმნის ძალადობრივი ექსტრემიზმის ნარატივის დადასტურების რისკს. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და კონტრტერორისტული ღონისძიებები, რომლებიც ამყარებენ სტერეოტიპებსა და დისკრიმინაციას და არ იცავენ ადამიანის უფლებებს, სავარაუდოდ ძალადობრივი ექსტრემიზმისკენ „უბიძგებენ“ ჯგუფებსა და ინდივიდებს - და უნებლიედ ეხმარებიან ძალადობრივ ექსტრემისტებს. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ თემის, მათ შორის ქალების, კაცების, გოგოების და ბიჭების მრავალფეროვანი ჯგუფების ჩართულობას, უკეთ და უფრო ეფექტურად მივლენ მარგინალიზებულ და მოწყვლად მოსახლეობამდე, და ამით იმოქმედებენ ძალადობრივი ექსტრემიზმის გავლენისა და საფრთხის ძირეულ მიზეზებზე. ინკლუზიური მიდგომა ასევე აუცილებელია თემებსა და სამეცნიერო წრეებთან, გენდერული ექსპერტების იდენტიფიცირებისთვის და მათთან თანამშრომლობისთვის - მათ აქვთ გენდერზე დაფუძნებული შეხედულებები, გამოცდილება და მტკიცებულებები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის ეფექტური პროგრამების შემუშავებისას.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას შეუძლია პირდაპირი წვლილი შეიტანოს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციაში. გაეროს კვლევამ ბანგლადეშსა და ინდონეზიაში დაადგინა, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ამცირებს დაძაბულობას ოჯახსა და საზოგადოებაში, რითაც ზრდის ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი მედეგობას.[18] უფრო მეტიც, ქალები, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც სოციალური ცვლილებების აგენტები, ეფექტური იყვნენ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციაში მონაწილეობისას. ინდივიდუალურ დონეზე, ქალების ძირითადი როლები ოჯახებსა და თემებში ნიშნავს, რომ ისინი კარგ პოზიციაში არიან იმისათვის, რომ ამოიცნონ ტერორიზმისა და ძალადობის მიმართ რადიკალიზაციისა და მობილიზაციის ნიშნები: ეს აისახება გაეროს მიერ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციაში „ქალების ჩართვის“ მნიშვნელობის აღიარებაში ჩანართი 3. ქალთა ხელმძღვანელობით ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სათემო ორგანიზაციებმა მთელ მსოფლიოში შეიმუშავეს ინოვაციური, კონტექსტზე მორგებული, სპეციფიკური ტაქტიკა ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში რეკრუტირების თავიდან ასაცილებლად. ხშირად მათი მოსაზრება ძალადობრივი ექსტრემისტული დინამიკისა და ტენდენციების შესახებ უფრო დეტალურია, ვიდრე ოფიციალური ხელისუფლების და მათ მეტი ადგილობრივი ნდობა აქვთ გადაწყვეტილებების მოფიქრებისა და რეალიზაციისას. დაბრუნებულთა რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის ალტერნატიული გზების უზრუნველყოფა და მათ თემებში ძალადობის რადიკალიზაციის ძირეული მიზეზების აღმოფხვრა ძალადობრივი ექსტრემიზმის ეფექტური პრევენციის ძირითადი კომპონენტებია.[19]

ამავდროულად, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას არ უნდა გამორჩეს ის როლი, რომელიც მამებს შეუძლიათ შეასრულონ ტერორიზმის/ძალადობისკენ რადიკალიზაციის თავიდან აცილებაში. კონტექსტში, სადაც მამაკაცურობა კრიზისშია ან ახალგაზრდები სხვა მიზეზით არიან მიდრეკილნი ძალადობრივ ექსტრემისტულ ორგანიზაციებში რეკრუტირებისკენ, კაცი უხუცესები, თემის ლიდერები და სხვა მისაბაძი მაგალითები შეიძლება იყოს გადამწყვეტი ძალადობისკენ რადიკალიზაციის თავიდან აცილებისთვის.

მაგალითად, კვლევაზე ორიენტირებული პროექტი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძალადობის მხარდამჭერი ნორმების შემცირებისა და ახალგაზრდებში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, დაუპირისპირდა მასკულინურობის ტრადიციულ აღქმას, რის შედეგადაც ახალგაზრდებს ნაკლებად იზიდავდნენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები, როგორც ვაჟკაცობის დამტკიცების საშუალება. კაცების, როგორც მამების და მზრუნველების ჩართვის ყოვლისმომცველმა კამპანიამ გაამყარა კვლევის შედეგები, რომ ეს ნამდვილად უწყობს ხელს გოგოების და ბიჭების კოგნიტურ განვითარებას, აკადემიურ მოსწრებას და მენტალურ ჯანმრთელობას და ამცირებს ვაჟების მიერ დანაშაულის ჩადენის დონეს.[20]

იმის აღიარებამ, რომ თემების ჩართვა არის უმნიშვნელოვანესი ეფექტიანი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განაპირობა თემთან მუშაობის მიდგომების განვითარება. თემის დონეზე სანდო პოლიციის არსებობა ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მნიშვნელოვანი ელემენტია. როგორც ძალადობაზე პირველი რეაგირება, პოლიცია ხშირად განიხილება როგორც „სახელმწიფოს სახე". ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხშირად აძლიერებს მოსახლეობის უკმაყოფილებას უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების მიმართ. თემებში მომუშავე პოლიცია არ უნდა გაიგივდეს ოპერატიული ინფორმაციის შეგროვებასთან, რათა არ იყოს აღქმული, როგორც „ჯაშუშობა". შესაბამისად, თემებთან მომუშავე პოლიციის ნაწილი ეფექტური და ძლიერი პარტნიორია თემსა და ქვეყნის პოლიციას შორის. აღნიშნული პარტნიორობა ეფუძნება საერთო ღირებულებებს, პროგრამების ერთობლივად დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს. პოლიციასა და დამოუკიდებელ და სანდო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა აძლიერებს ნდობას, პოლიციის „ჰუმანიზაციის" გზით და ზრდის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის პროგრამების შესაბამისობას.

ქალი პოლიციელების ჩართულობა, მარგინალიზებულ თემებთან პარტნიორობისა და ნდობის დასამყარებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კოსოვოში, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სემინარების სერიაში მონაწილეობის შემდეგ, ქალი პოლიციელები, რელიგიურ ლიდერებთან ერთად პროაქტიულად ჩაერთვნენ ინდივიდუალურ შემთხვევებში პრევენციულ ინტერვენციებზე.[21] რიგ კონტექსტებში გამოვლინდა, რომ ქალი ოფიცრები უფრო წარმატებით ახდენენ დაძაბული სიტუაციების დეესკალაციას და თავს არიდებენ გადაჭარბებული ძალის გამოყენებას, ვიდრე მათი კაცი კოლეგები. თუ უფრო წარმომადგენლობითი პოლიცია მეტი ნდობით სარგებლობს, ქალი პოლიციელების რაოდენობისა და ავტორიტეტის გაზრდა, ისევე როგორც სხვა ჯგუფების, რომლებიც ნაკლებად არიან წარმოდგენილი პოლიციის სამსახურებში, მეტად აამაღლებს ძალადობრივი ქცევის ადრეული გამოვლენის პოტენციალს.

მოქალაქეთა საკონსულტაციო საბჭოებისა და არაფორმალური თემის წარმომადგენლობითი ორგანოების ქალ წევრებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ პოლიციასთან მუშაობაში. ნორვეგიაში „უმცირესობათა თემის პოლიციის თანამშრომლები" რეგულარულად იწვევენ უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს, რათა განიხილონ სხვადასხვა საკითხები, არა მხოლოდ ძალადობრივი ექსტრემიზმი, არამედ გენდერული თანასწორობა და სამოქალაქო უფლებები. ამ გზით ნდობის ჩამოყალიბებამ წარმატებით დაიცვა რამდენიმე ახალგაზრდა კაცი რადიკალიზაციისა და 2015 წელს სირიაში ისლამურ სახელმწიფოში (ISIL/Daesh) გაწევრიანებისაგან.[22]

გენდერული თვალსაზრისით უარყოფითი შედეგების თავიდან არიდება ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და კონტრტერორისტული საქმიანობის დროს

ცალკეული ქალების, ქალთა ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და კონტრტერორისტულ საქმიანობაში ჩართვის მცდელობა მოიცავს ქალების ესენციალიზაციისა და ინსტრუმენტალიზაციის, ასევე ინდივიდებისა და ორგანიზაციების რეპუტაციის კომპრომიტირების, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათი უსაფრთხოების რისკებს. თემებმა, რომლებიც

თავად გახდნენ სახელმწიფოს ძალადობის ობიექტი კონტრტერორისტული ღონისძიებების გატარებისას, შესაძლოა სახელმწიფოსთან ალიანსი აღიქვან და განიხილონ როგორც საკუთარი თემის ღალატი. ქალები შესაძლოა შურისძიების უფრო მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ, თუ აღიქმება, რომ მეტი საზოგადოებრივი როლების აღებით, ისინი არღვევენ გენდერულ მოლოდინებს. რისკი კიდევ უფრო მაღალია, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხვდებიან რეპრესიულ მთავრობების და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ შეზღუდულ სამოქალაქო საზოგადოების სივრცეში.[23]

ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და კონტრტერორისტული საქმიანობის „გენდერული თვალ-საზრისით უარყოფითი შედეგებისგან" თავის დასაცავად, ქალებს უნდა შეეძლოთ თავისუფლად ჩაერთონ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის პროცესში სხვადასხვა განსაზღვრული გზებით. უფრო მეტიც, თემის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ან ქალთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უნდა იყვნენ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ნაწილი და მათი განსხვავებული საჭიროებები, გამოცდილება და ცოდნა გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა დონეზე (განხილულია მე-12-ე და მე-13-ე გვერდებზე). ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და კონტრტერორისტული ღონისძიებების შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებებია საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე. როდესაც აშშ-ს მთავრობამ აღწერა ავღანეთში გატარებული კონტრტერორისტული ზომები, რო-გორც ბრძოლა „ქალთა უფლებებისთვის", ამან შეარყია პროგრესი გენდერული თანასწორობისათვის, რომელსაც ადრე ავღანელი მუსლიმი ფემინისტები ახორციელებდნენ. გენდერული თანასწორობის, როგორც „დასავლეთის ომის ტერორთან ბრძოლის" ნაწილის ფორმირებამ მუსლიმი ფემინისტები წარმოაჩინა, როგორც „პროდასავლური" და, შესაბამისად, ანტიმუსლიმები, ქალთა ორგანიზაციები თავიანთი ქვეყნისა და თემების მიმართ პოლიტიკის ფორმირებისას.[24] ძალზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ადგილობრივი და ეროვნული ქალთა ორგანიზაციების ჩართვა და მათი მოსმენა ქვეყნისა და თემების შესახებ პოლიტიკის შემუშავებისას.

კონტრტერორისტული ღონისძიებების სხვა „გენდერული თვალსაზრისით უარყოფითი შედეგი" არის ადამიანის უფლებების დარღვევა, რომელიც ჩადენილია ტერორიზმზე სისხლის სამართლებრივი რეაგირების პროცესში. მაგალითად, ფართოდ ფორმულირებულ კანონმდებლობას, რომელიც ტერორისტული ჯგუფების მომზადებისა და მხარდაჭერის როლების კრიმინალიზაციას ახდენს, შეიძლება ჰქონდეს არასასურველი შედეგები, რაც არაპროპორციულად იმოქმედებს ქალებზე. ქალებს დევნიდნენ ტერორისტულ ჯგუფში გაწევრიანების ან ტერორისტული აქტის ჩადენის გამო, მაშინ როდესაც ისინი იძულებით მოქმედებდნენ. ანალოგიურად, ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კანონებმა გამოიწვია მთელი რიგი პრობლემური შედეგები. ქალებს დევნიდნენ ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებისთვის, როდესაც მათ არ იცოდნენ ოჯახის მამრობითი სქესის წევრებისთვის გადაცემული თანხების დანიშნულების შესახებ.[25] გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატამ და ევროპის იუსტიციის სასამართლომ მიიჩნია, რომ უშიშროების საბჭოს #1267 რეზოლუციით განსაზღვრული პირის მეუღლის მხარდაჭერის და უზრუნველყოფის შეღავათების გაყინვა (ISIS-სა და ალ-ქაიდასთან დაკავშირებით) არაპროპორციული და რეპრესიული იყო, რადგან წარმოადგენდა „ექსტრაორდინალურ" შეჭრას მის პირად ცხოვრებაში.[26] ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული მეტისმეტად გაფართოებული ზომები ასევე არაპროპორციულად მოქმედებს ქალთა ორგანიზაციებზე, რადგან ისინი სავარაუდოდ წარმოადგნენ პირველად ორგანიზაციებს და მეტად დამოკიდებულნი არიან მცირე მოკლევადიან გრანტებზე. აღნიშნულის გამო დონორები სავარაუდოდ თავს შეიკავებენ ქალთა ორგანიზაციების მხარდაჭერისაგან, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შედეგად დამძიმებულ კონტექსტში[27] – მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი ჩართულობა კრიტიკულია ძალადობრივი ექსტრემიზმის ეფექტური პრევენციისთვის.

გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და ტერორიზმის საწინააღმდეგო ინიციატივებში*

ამ ნაწილში წარმოდგენილია უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების სტრატეგიები, ორიენტაციით ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და ტერორიზმის საწინააღმდეგო ინიციატივებზე.

გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორისტულ დანაშაულებებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პროცესებში

- სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს ძალადობრივ ექსტრემისტულ და ტერორისტულ დანაშაულებს, ყურადღებას ამახვილებს გენდერული ძალაუფლების დინამიკაზე, მათ შორის ქალებისა და მარგინალიზებული კაცების დომინირებისა და ჩაგვრის სტრუქტურებზე. ისინი აღიარებენ, რომ აკრძალული ქმედებები შეიძლება განხორციელდეს ტერორისტული ან ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციების მხარდაჭერის განზრახვის გარეშე და/ან კონტროლის, ზეწოლის ან იძულების გამო.[28] ტერორისტულ ორგანიზაციებში ჩართული პირების ოჯახის წევრები არ არიან დამნაშავე მხოლოდ მათთან ასოცირების გამო.
- მსხვერპლთა და მოწმეთა მხარდაჭერის სერვისებსა და დაცვის ზომებში გათვალისწინებულია ქალების, გოგოების, კაცებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებები. ისინი მოქმედებენ კონტრტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობების წინააღმდეგ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, განურჩევლად პირის მოქალაქეობის სტატუსისა.
- სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პროცედურები და ინსტიტუტები აქტიურად ცდილობენ უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ქალებისა და გოგოების, ასევე კაცებისა და ბიჭებისთვის, რომლებიც არიან ძალადობრივი ექსტრემისტული აქტებისა და ტერორისტული ორგანიზაციების მსხვერპლნი.
- უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც არღვევენ კანონს, კონტრტერორისტული ღონისძიებების განხორციელებისას და საერთოდ, ეფექტურად ექვემდებარებიან ანგარიშვალდებულებას. მიიღება ზომები უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუციურ კულტურაში არსებული ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად, რაც ეხება ძალადობრივ ექსტრემისტულ აქტებთან და ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებას ან განხილვას.

სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის და მის მიმართ პატივისცემის გათვალისწინება ექსტრემისტული ძალადობის პრევენციის ეროვნულ პოლიტიკასა და სტრატეგიებში

- ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკა, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფართო სპექტრთან კონსულტაციებით და თანამშრომლობით, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებთან და ქსელებთან, გენდერულ საკითხებში ექსპერტებთან თემსა და სამეცნიერო წრეებში და ლგბტი თემის წარმომადგენლებთან. ასეთი პროცესები კონსულტაციების გზით იგეგმება, რათა თავიდან იქნას აცილებული რისკის ზრდა ინდივიდებისა და სამოქალაქო საზოგადებისთვის და პატივი სცენ მათ საქმიანობასა და პოზიციას თემებში.**

---

* აღნიშნული ეფუძნება შედარებით ახალ და სწრაფად განვითარებად პრაქტიკას. მათზე უნდა განხორციელდეს მუდმივი მონიტორინგი და მოხდეს მათი ადაპტირება შესაბამისობისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. პროექტებისა და პროგრამების გენდერული პასუხისმგებლობის მონიტორინგი მოყვანილია მე-15-ე მითითებაში - (უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში გენდერის საკითხების გათვალისწინება პროექტის შემუშავებისა და მონიტორინგის დროს).

მკითხველებს რომლებსაც უფრო ფართო ინტერესი აქვთ იმ სტრატეგიების მიმართ, რომლებითაც ხდება გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება პოლიციის, მართლმსაჯულების, თავისუფლების აღკვეთის ადგილების, მოკვლევის, თავდაცვის, საზღვრის მართვის და საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხებში, შეუძლიათ იხილონ პრაქტიკული მითითებების კრებული - გენდერი და უსაფრთხოება.

** საზოგადოებასთან კონსულტაციები დეტალურად განხილულია პრაქტიკული მითითებების კრებულში 1, “Security Sector Governance, Security Sector Reform and Gender”, და პრაქტიკული მითითებების კრებულში 4, “Justice and Gender”.

- ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციაში სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების მონაწილეობას ხელს უწყობს სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემო, რომელიც პატივს სცემს არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობას მთავრობისა და უსაფრთხოების სექტორისაგან და მხარს უჭერს მათ წვდომას ადგილობრივ და უცხოურ დაფინანსებაზე. ასევე დაცულია და მხარდაჭერილი სიტყვის თავისუფლების, პრესისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, ასევე მთავრობის პოლიტიკისა და ქმედებების გაპროტესტების უფლებები.
- პოლიტიკა, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ქალებს განიხილავენ როგორც თანასწორ მოქალაქეებს და პოლიტიკაში პოტენციურად ჩართულ პირებს - და არა მხოლოდ კაცების ცოლებსა და დედებს.
- სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები ჩართულნი არიან ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის შესახებ კომუნიკაციის ფორმირებაში. ყურადღება ექცევა ქალებსა და კაცებთან დაკავშირებულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, რომლებიც კვებავენ ძალადობრივ ნარატივს.

გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების მიზნით ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და კონტრტერორისტულ საქმიანობაში ჩართული უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების შესაძლებლობების გაუმჯობესება

- ყოვლისმომცველი გენდერული ანალიზი ამყარებს ძალადობრივი ექსტრემისტული ქმედებების ჩამდენთა და მათი ზეგავლენის იდენტიფიკაციას, ასევე ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის და კონტრტერორისტული საქმიანობის პროგრამის დაგეგმვას, იმპლემენტაციას, მონიტორინგს და შეფასებას. ძალადობრივ ექსტრემიზმთან და კონტრტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების სეგრეგაცია ხდება სქესის, ასაკისა და სხვა მრავალი მარკერის მიხედვით.*
- არსებობს ყოვლისმომცველი ღონისძიებები პერსონალის შესაძლებლობების გასაძლიერებლად ამ ანალიზის ამოცანების შესასრულებლად და უფრო ჰოლისტიკური გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებისთვის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და კონტრტერორისტულ საქმიანობაში. შესაძლებლობების განვითარება ეხება როგორც ღირებულებებს (გენდერული თანასწორობის, რელიგიის თავისუფლებისა და ლგბტი ადამიანების უფლებების ჩათვლით) ასევე უნარებს (გენდერული ანალიზის ჩათვლით და საზოგადოების ჩართულობის უნარებს). შესაძლოა მოიწვიონ ქალთა ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ექსპერტები, რათა მათ წარმოადგინონ თემის საჭიროებები და ტექნიკური ექსპერტიზა.
- უსაფრთხოების სექტორში ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციაზე და კონტრტერორისტულ საქმიანობაზე მომუშავე გუნდები მრავალფეროვანია. მათ შორისაა, მაგალითად, ქალი და კაცი პოლიციელები, ლგბტი ოფიცრები და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ოფიცრები, იმ თემების წარმომადგენლები, რომლებსაც ემსახურებიან.
- უსაფრთხოების სექტორის ხელმძღვანელობის მკაფიო და თვალსაჩინო ვალდებულებაა დაიცვას და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების, მათ შორის გენდერული თანასწორობის გათვალისწინებას, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და კონტრტერორისტული საქმიანობის დაგეგმვისას. ლიდერები მხარს უჭერენ ეთოსს, რომელშიც ინსტიტუტები აღიარებენ მათ მოვალეობას ემსახურონ თემებს ნდობის დამყარებისა და დიალოგის ხელშეწყობის მიზნით.

* გენდერული ანალიზის მომზადება და მონაცემების სეგრეგირება სქესისა და ასაკის მიხედვით განმარტებულია პრაქტიკული მითითებების კრებულში 15, „გენდერული საკითხების გათვალისწინება უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პროექტების შემუშავების დროსა და მონიტორინგში “. გენდერული ტრენინგის კარგი პრაქტიკა ასევე განხილულია პრაქტიკული მითითებების კრებულში 1, „უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი“, კრებულში 2, „პოლიცია და გენდერი“, კრებულში 3, „თავდაცვა და გენდერი“ და კრებულში 6, „საზღვრის მართვა და გენდერი“.

ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის საკითხებზე ადგილობრივ თემთან მუშაობისას გენდერულად მგრძნობიარე ჩართულობის ინიცირება და შენარჩუნება

- სათემო პოლიციის მიდგომები გამოიყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძალადობრივი ექსტემიზმის პრევენცია დაეფუძნოს პარტნიორობასა და ნდობას პოლიციასა და თემებს შორის.
- მოქმედებს აქტიური და სანდო მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას მუდმივი გაცვლა და უკუკავშირი პოლიტიკის მესვეურებს, უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და საზოგადოების სხვა წევრებს შორის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის დიზაინის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ყველა ეტაპზე. არსებობს სპეციფიური მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალების, ასევე კაცების, ქალი და კაცი ახალგაზრდების და კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების (როგორიცაა ლგბტი ადამიანები, მამები და სასულიერო ლიდერები) მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიმდინარე პროცესებში. კაცებისა და ბიჭების მონაწილეობისას შესაძლებელია მაგალითების გამოყენება სხვა სფეროებიდან, როგორიცაა მუშაობა ჯგუფურ ძალადობაზე და განიარაღებაზე, დემობილიზაციასა და რეინტეგრაციაზე.
- ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მონიტორინგისა და ზედამხედველობის დამოუკიდებელი მექანიზმები მჭიდროდ აკავშირებენ სამიზნე თემებს და უსმენენ სხვადასხვა წარმომადგენლების ხმას.

დასკვნა

წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერა, რომელიც გვთავაზობს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ კვლევას, ხაზგასმით აღნიშნავს სამართლებრივ და პრაქტიკულ მიზეზებს, რომელთა გამო უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორმა უნდა მოახდინოს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და ტერორიზმის საწინააღმდეგო მოქმედებების დაგეგმვის ყველა ფაზაზე. გასული ათწლეულების განმავლობაში ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მიდგომის გაფართოვებამ გაზარდა ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი: გენდერული პერსპექტივა აუცილებელია ამგვარი დარღვევების გააზრებისა და აღკვეთისთვის. ამავდროულად, ბოლო წლებში აღიარებულ იქნა რომ გენდერი მნიშვნელოვანია ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გააზრებისა და პრევენციისთვის.

გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების შეთავაზებით სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პროცესებში, პოლიტიკის შემუშავებაში, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობაში, უსაფრთხოების სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებასა და საზოგადოების ჩართულობაში წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერა წარმოადგენს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმა შეუძლიათ ხელისუფლებებს, რათა თავიდან აიცილონ ძალადობრივი ექსტრემიზმი და უფრო ეფექტურად ებრძოლონ ტერორიზმს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. E. Harper (2018) "Reconceptualizing the drivers of violent extremism: An agenda for child and youth resilience", Lausanne: Terre des hommes and WANA Institute, pp. 14–15; G. Holmer (2013) "Countering violent extremism: A peacebuilding perspective", US Institute for Peace Special Report 336, Washington, DC: USIP, pp. 2–3; P. R. Neumann (2017) "Countering violent extremism and radicalisation that lead to terrorism: Ideas, recommendations, and good practices from the OSCE region", Vienna: OSCE, pp. 24–28; K. Von Hippel (2010) "The role of poverty in radicalization and terrorism", in S. Gottlieb (ed.), *Debating Terrorism and Counterterrorism: Conflicting Perspectives on Causes, Contexts and Responses*, Washington, DC: CQ Press.
2. F. Ní Aoláin (2018) "The complexity and challenges of addressing conditions conducive to terrorism", in M. Nowak and A. Charbord (eds), Using Human Rights to Counter Terrorism, Cheltenham, Cheltenham: Edward Elgar Publishing, p. 187.
3. C. de Jonge Oudraat and M. E. Brown (2016) "Women, gender, and terrorism: The missing links", policy brief, 1 August, Washington, DC: Women in International Security.
4. L. Davis (2018) "Reimagining justice for gender-based crimes at the margins: New legal strategies for prosecuting ISIS crimes against women and LGBTIQ persons", *William & Mary Journal of Women and the Law* 24(3), pp. 513–558.
5. See, for example, European Union (2018) Handbook on European Non-Discrimination Law, Luxembourg: European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe; OHCHR (2020) "Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism", https://www.ohchr.org/en/issues/terrorism/pages/srterrorismindex.aspx.
6. OSCE (2019) "Understanding the role of gender in preventing and countering violent extremism and radicalization that lead to terrorism: Good practices for law enforcement", gender report, Vienna: OSCE, p. 45; E. Pearson (2018) "Why men fight and women don't: Masculinity and extremist violence", London: Tony Blair Institute for Global Change.
7. M. Barsa (2015) "U.S. approaches to countering violent extremism must prioritize women", *New America*, 12 March, https://www.newamerica.org/weekly/edition-72/us-approaches-countering-violent-extremism-must-prioritize-women.
8. OSCE, note 6 above, pp. 41, 45. For a discussion on the term "foreign terrorist fighter" see OSCE (2018) "Guidelines for addressing the threats and challenges of "foreign terrorist fighters" within a human rights framework", Vienna: OSCE.
9. A. Alexander and R. Turkington (2018) "Treatment of terrorists: How does gender affect justice?" CTC Sentinel 11(8), September.
10. CTED (2019) "Gender dimensions of the response to returning foreign terrorist fighters: Research perspectives", New York: United Nations, p. 17.
11. US Department of State (2017) "Country reports on terrorism 2017 – Canada", 19 September, Washington, DC: US Department of State.
12. R. Grey (2019) "Gender-based crimes: A monumental day for the ICC", 8 July, https://ilg2.org/2019/07/08/gender-based-crimes-a-monumental-day-for-the-icc.
13. UN Human Rights Council (2016) "'They came to destroy': ISIS crimes against the Yazidis", 15 June, UN Doc. A/HRC/32/CRP.2.
14. OSCE, note 6 above, p. 49; Davis, note 4 above, pp. 528–529.
15. UNDP (2017) "Journey to extremism in Africa: Drivers, incentives and the tipping point for recruitment", New York: United Nations.
16. International Alert and UNICEF (2016) "'Bad blood': Perceptions of children born of conflict-related sexual violence and women and girls associated with Boko Haram in northeast Nigeria", London and Abuja: International Alert/UNICEF Nigeria.
17. UN Security Council (2017) Resolution 2396, para. 31; OSCE, note 6 above, pp. 64–72.
18. Monash University Gender, Peace and Security Centre (2018) "Empowering women for peaceful communities: Evidence from Indonesia and Bangladesh", research brief, New York: UN Women.
19. Women's Alliance for Security Leadership (2016) "Uncomfortable truths, unconventional wisdoms. women's perspectives on violent extremism and security interventions", March, Washington, DC: ICAN – International Civil Society Action Network, p. 7; Counter-Terrorism Committee Executive Directorate (2016) "Global survey of the implementation of Security Council Resolution 1373 by Member States", UN Doc. S/2016/49, New York: United Nations; UN Women (2015) "Preventing conflict, transforming justice, securing the peace: A global study on the implementation of Security Council Resolution 1325", New York: UN Women, https://www.peacewomen.org/sites/default/files/UNW-GLOBAL-STUDY-1325-2015%20(1).pdf.
20. OSCE, note 6 above, pp. 77–78.
21. Ibid., pp. 97–98.
22. Ibid., pp. 85–88.
23. UN Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism (2009) "A gender perspective in countering terrorism", analysis of counterterrorism measures from a gender perspective, UN Doc. A/64/211, para. 35; Women's Alliance for Security Leadership, note 19 above, p. 17; S. Giscard d'Estaing (2017) "Engaging women in countering violent extremism: Avoiding instrumentalization and furthering agency", Gender & Development 25(1), pp. 103–118.
24. UN Special Rapporteur, ibid., para. 34.
25. UNODC (2018) Handbook on Gender Dimensions of Criminal Justice Responses to Terrorism, Vienna: UNODC, pp. 40–42.
26. R(M) v. HM Treasury [2008] 2 All ER 1097, paras 15, 61; European Court of Justice, M and Others v. HM Treasury, Case No. C-340/08, Judgment of the Court (Fourth Chamber) of 29 April 2010, paras 60–61.
27. UNODC, note 25 above, p. 57; Duke International Human Rights Clinic and Women Peacemakers Program (2017) "Tightening the purse strings: What countering terrorism financing costs gender equality and security", March, Durham, NC: Duke Law School.
28. UNODC, note 25 above, pp. 40–42.

ავტორი: ამრიტა კაპური, კალუმ უოთსონის და ანნა ლენა შლუჩტერის მხარდაჭერით.

რედაქტორი: მეგან ბასტიკი

მადლობა
შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF), ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE ODIHR) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) მადლობას უხდის ლეა ლეჰუკის, ლორეინ სერანოს, ენ ბენეტის, დანიელ დე ტორესის, აიმან აიუბისა და ჰაინერ ჰანგგის (DCAF) გრაზიელა პავონეს, იოჰანეს ჰეილერს და OSCE/ODIHR-ის წარმომადგენელ კოლეგებს: ბრედ ორჩარდს, იმან საიედ თაჰას და კოლეგებს გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან.

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი მადლიერებით აღნიშნავს შვეიცარიის, შვედეთის და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მხარდაჭერას წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერის შემუშავებაში.

ISBN: 92-9222-508-1

© DCAF, OSCE/ODIHR, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2019 წ
მისასალმებელია წინამდებარე პრაქტიკული მითითებების კრებულის გამოყენება, თარგმნა და გავრცელება. თუმცა, გთხოვთ, აღნიშნოთ და მიუთითოთ გამოყენებული მასალა და არ შეცვალოთ მისი შინაარსი.

ციტირებისას მიუთითეთ: DCAF, OSCE/ODIHR, UN Women (2019) „გენდერი, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა“, გენდერის და უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკული მითითებების კრებული, ჟენევა: DCAF, OSCE/ODIHR, UN Women.

წინამდებარე დოკუმენტი თავდაპირველად გამოქვეყნდა შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ინგლისურ ენაზე შემდეგი სახელწოდებით: გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მითითებების კრებული (გენდერი, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა). ამ გამოცემის ქართულენოვანი ვერსია წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც მომზადდა და გამოიცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის მიერ დიდი ბრიტანეთის კონფლიქტის, სტაბილურობის და უსაფრთხოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს OSCE/ODIHR-ის პოლიტიკას და პოზიციას. ტექსტებს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან დოკუმენტს, რომელიც ზუსტ და ოფიციალურ ვერსიას წარმოადგენს.

DCAF Geneva Centre for Security Sector Governance

Office for Democratic Institutions and Human Rights
OSCE ODIHR

UN WOMEN